



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება № 10/46

2023 წლის 30 აგვისტო

#### ქალაქი ფოთი

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) და ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) რეორგანიზაციაზე (შერწყმა) და რეორგანიზაციის საფუძველზე, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ სამართალმემკვიდრედ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) ცნობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, ითხოვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) და ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) რეორგანიზაციაზე (შერწყმა) და რეორგანიზაციის საფუძველზე, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ სამართალმემკვიდრედ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) ცნობაზე თანხმობას.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### მუხლი 1.

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს განახორციელოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრისა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) და ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) რეორგანიზაცია (შერწყმა) და რეორგანიზაციის საფუძველზე, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბის ნანას“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) სამართალმემკვიდრედ ცნობილ იქნეს ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414).
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი ნანა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) მიუერთდეს (შერწყმა) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414). ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და

ტურიზმის ცენტრმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415106414) გააგრძელოს საქმიანობა საკუთარი სამართლებრივი ფორმით, ხოლო ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბმა ნანამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი 415099379) შეწყვიტოს არსებობა.

#### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს განკარგულების პირველი მუხლის შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

#### მუხლი 3.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის VIII თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა განკარგულების პირველ მუხლით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გაატაროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

#### მუხლი 4.

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა დაამტკიცოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის- „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ წესდება.

#### მუხლი 5.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი; ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

#### მუხლი 6.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 30 აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყებუჩავა

